KA030158464197320

№ 01-10813 **15 / ოქტომბერი / 2020 წ.**

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

გაცნობებთ, რომ სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის ბ-ნი ამირან გამყრელიძის N 06/4291 წერილით პოლიტიკის დეპარტამენტში წარმოდგენილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, საქართველოს მოსახლეობისთვის გრიპის ვაქცინის შესყიდვის მიზნით, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს უნდა მიეცეს უფლება, განახორციელოს 100 000 დოზა გრიპის ვაქცინის შესყიდვა, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 600 000 ევროს (შესაბამისი კურსით ექვივალენტი ლარში). ამასთან, დაფინანსება უნდა განხორციელდეს „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „იმუნიზაცია“ (პროგრამული კოდი - 27 03 02 02) ასიგნებებთა ფარგლებში.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი პროექტი თქვენი კომპეტენციის ფარგლებში და მიგვითითოთ წყარო, საიდანაც შესაძლებელია მოხდეს შესაბამისი საბიუჯეტო რესურსის მობილიზება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

გიორგი ჭავჭავაძე